შალვა გოგიძე

„ამხანაგი თავადი“ ——— განძეულობათა გადამრჩენი

მასალები ზამთრის სასახლის კომენდანტ ივანე რატიშვილის შესახებ

გამომცემლობა „ხელოვნება“
თბილისი, 1987

შ. გოგიძის პუბლიცისტური ნაშრომი გვაცნობს რუსეთში მოღვაწე ქართველ თავადაზნაურთა ერთ–ერთი წარმომადგენლის, ზამთრის სასახლის კომენდანტის ივანე რატიშვილის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, რომელსაც ვ. ი. ლენინი „ამხანაგ თავადს“ უწოდებდა; აღწერილია ივანე რატიშვილის დიდი დამსახურება რევოლუციის მძიმე დღეებში ისტორიული ძეგლების ფასეულობათა დაცვისა და გადარჩენის საქმეში.

ისტორიაში ცნობილია არაერთი მაგალითი, როდესაც ძველი არისტოკრატის ცალკეული პატიოსანი წარმომადგენელი გამიჯვნია ცაკუთარ კლასს და მშრომელი ხალხის მხარეზე გადასულა, გაუწყვეტია კავშირი ე. წ. ''უმაღლესი საზოგადოების''იდეოლოგიისა კლასობრივ ინტერესებთან.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის გვარდიის პოლკოვნიკი, თავადი ივანე დიმიტრის ძე რატიშვილი (რატიევი), რომელიც ზამთრის სასახლის სამმართველოს უფროსის თანაშემწედ მუშაობდა. რევოლუციის დღეებში, როდესაც ამ სამმართველოს ყველა პასუხისმგებელი მუშაკი საზღვარგარეთ გაიქცა,ივანე რატიშვილი სასახლიდან არ გამასულა. დარბაზებში დაცული ფასდაუდებელი განძის- ხელოვნების შედევრების გადასარჩენად თავგამოდებით იბრძოდა და მთელი სიმდიდრე უკლებლივ ჩააბარა ახალ კანამიერ სახალხო ხელისუფლებას.

საბჭოთა მთავრობამ პირველივე დღეს ივანე რატიშვილს დაავალა ზამთრის სასახლის შიდა დაცვა და პეტროგრადის რაიონის ყველა მუზეუმისა და სასახლის შიდა დაცვა და პეტროგრადის რაიონის ყველა მუზეუმისა და სასახლის მთავარი კომენდანტობა. მას წილად ხვდა დიდი ბედნიერება –შეხვედროდა ვ.ი. ლენინს, ესაუბრა მასთან და შეესრულებინა მისი დავალებანი.

ივანე რატიშვილი იყო ძველი ქართული წარჩინებული გვარის შთამომავალი, წარმოშობით მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისიდან. მისი ერთი წინაპარი მეფე ვახტანგ მეექვსეს 1724 წლის ივლისში თავის ამალაში ჩაურიცხავს და რუსეთში წაუყვანია. 1737 წელს ვახტანგ მეექვსის გარდაცვალების შემდეგ სამშობლოშიდაბრუნების იმედგაწყვეტილმა ამალის წევრებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. 1738 წელს მათ შექმნეს ქართველ ჰუსართა ასეული, რომელიც შემდეგ პოლკად გადაკეთდა.

1738-1760 წლებში ქართველ ჰუსართა პოლკი აქტიურად მონაწილეობდა ოსმალეთის, შვეციისა და პრუსის წინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობებში და თავი ისახელა სიმამაცით.

ამგვარად, ივანე რატიშვილის მამა-პაპა მცახურობდა რუსეთის არმიაში, ცაქართველოს მიწა- წყალს საერთო უცხოელი მტრებისაგან იცავდა.

ივანე დიმიტრის ძე მამის კვალს გაჰყვა და სამხედრა სამსახური აირჩია. მან ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაამთავრა ქალაქ ორიოლის კადეტთა კორპუსი და პეტერბურგის ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებელი.

ივანე რატიშვილი დაიბადა ქ. ორიოლში 1868 წლის 17 ივლისს. 10 წლის ივანე მშობლებმა შეიყვანეს ორიოლის კადეტთა კორპუცში. 1888 წელს იგი სწავლას აგრძელებს პეტერბურგის ნიკოლოზისსაკავალერიო სასწავლებელში, რომლის წარმაყებით დამთავრების შემდეგ, მისივე თხოვნით, გადაჰყავთ კავკასიაში ; 1890 წელს სამხედრო სამსახურს იწყებს რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ საუკეთესო სამხედრო ნაწილში, ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკში. ეს პოლკი ცაქართველოში იყო განლაგებული და სახელი გაითქვა კავკასიის ჯარების საბრძოიო ლაშქრობებში.

ივანე რატიშვილი განათლებული და ღრმად ერუდირებული პიროვნება იყო. მან 1896 წელს ცოლად შეირთო ეკატერინე ბაგრატიონი, რომლის დედა თამარი - ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტის წევრი- პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი იყო,ხოლო მამა- ირაკლი ბაგრატიონი- ერეკლე მეორის შვილიშვილი.

ივანე რატიშვილის მეუღლემ ეკატერინემ და მისმა უფროსმა დამ ელისაბედმა, რომელიც ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში''საზანდარის'' ფსევდონიმით არის ცნობილი, განათლება საფრანგეთსა და იტალიაში მიიღეს. სწორედ ელისაბედ ბაგრატიონ- ორბელიანისას, სოლომონ იორდანიშვილთან ერთად, ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის'' პირველი თარგმანი ფრანგულ ენაზე, რომელიც მოგვიანებით, 1977 წელს გამოიცა.

ნიჟეგოროდის სახელოვან პოლკს სხვადასხვა დროს მეთაურობდნენ 1812 წლის პირველი სამამულო ომის აქტიური მონაწილე მამაცი გენერლები მიხეილ რაევსკი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე ანდრონიკაშვილი და სხვები. პოლკში თავის დროზე მსახურობდნენ მიხეილ ლერმონტოვი, მისი მეგობარი პოეტი-დეკაბრისტი ალექსანდრე ოდოევსკი, ალექსანდრე პუშკინის ძმა ლევ პუშკინი და მსხვა გამოჩენილი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები.

სამხედრო სამსახურით გატაცებამ ივანე რატიშვილში ვერ შეანელა ხელოვნებისადმი სიყვარული, იგი შესანიშნავად ერკვეოდა მხატვრობასა და მუსიკაში. იგი მამაცი ოფიცერი იყო, ვაჟკაცობით კავკასიის ძველ გამოცდილ მოჯირითეებსაც კი აკვირვებდა, მაგრამ სამხედრო სამსახურისათვის მაინ ცარ იყო გაჩენილი. ეს გზა მხოლოდ იმიტომ აირჩია, რომ მაშინდელი საუკეთესო გვარის ახალგაზრდა არმიაში მსახურობდა და ისიც სხვების კვალს უნდა გაჰყოლოდა.

დიდუბის იპოდრომზე ერთ-ერთი საჩვენებელი შეჯიბრის დროს, რომელშიც ივანე რატიშვილი თავისი ესკადრონით მონაწილეობდა, ივანეს ცხენმა თავი ვეღარ შეიკავა და დაეცა. მხედარმა სერიოზული ტრამვა მიიღო. ჯანმრთელობის გაუარესების გამო ივანე რატიშვილი ერთწლამდე მკურნალობდა სამხედრო ჰოსპიტალშ, 1907 წელს კი იძულებული გახდა პოდპოლკოვნიკის ჩინით გადამდგარიყო სამხედრო ცამსახურიდან. მალე პარიზში გაემგზავრა და იქ ნატიფი ხელოვნების აკადემიაში შევიდა, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

პარიზიდან ცანკტ-პეტერბურგში დაბრუნებული ივანე რატიშვილი სამსახურს იწყებს რუსეთის დანათლების სამინისტროში ; ბრწყინვალე ერუდიციამ, სამხედრო საქმისა და ხელოვნების საკითხების ღრმა, საფუწვლიანმა ცოდნამ, მისმა და განსაკუთრებით მეუღლის მაღალმა წოდებამ, ხელი შეუწყო ივანე რატიშვილის დაწინაურებას. განათლების სამინისტროს რეკომენდაციით, იგი, როგორც სახვითი ხელოვნების მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, გადაჰყავთ იმპერატორის ზამთრის სასახლის სამმართველოში.

დღემდე ჩვენთვის ზუსტად ცნობილი არ იყო ივანე რატიშვილის დამსახურება ახალგაზრდა ცაბჭოთა სახელმწიფოს წინაშე, ზამთრის სასახლისა და ერმიტაჟის განძის გადარჩენის საქმეში, აქამდე გამოქვეყნებული რამდენიმე საგსზეთო და საჟურნალო სტატია, რა თქმა უნდა, სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნიდა ამ ენერგიული, პატიოსანი, საქმისადმი თავდადებული ადამიანის მოღვაწეობაზე, აუცილებელი გახდა მისი საქმიანობის გულმოდგინე და

დაწვრილებითი შესწავლა. სსრ კავშირის ცენტრალური ისტორიული არქივის პეტროგრადის სასახლეების სამმართველოს ფონდში ცვენ მიერ მიკვლეულმა, დღემდე უცნობმა დოკუმენტებმა და მასალებმა მთელი სისრულით წარმოგვიდგინა სახელოვანი თანამემამულის ივანე რატიშვილის მოღვაწეობა და დაგვანახა მისი მაღალი მოქალაქეობრივი და პროფესიული დონე, მისი პატრიოტული შემართება.

საარქივო დოკუმენტებიდან დამასალებიდან ჩანს, რომ სანკტპეტერბურგის სასახლეების სამმართველოს 1913 წლის 11 ნოემბრის №44 ბრძანებით, გადამდგარი პოლკოვნიკი თავადი რატიევი დაინიშნა იმპერატორის ზამთრის სასახლის პოლიცმეისტერის მოვაიეობის შემსრულებლად, ხოიო იმავე წლის 21 დეკემბრის №50 ბრძანებით, გვარდიაში გადაიყვანეს. 1915 წლის 22 მარტის ბრძანებითიგი წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

1915 წლის 31 ოქტომბრის №47 ბრძანებით, ივანე რატიევი დაინიშნა ზამთრის სასახლეში იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორის ასულის მხატვრულ განძეულობათა საცავის სარევიზიო კომისიის წევრად, ხოლო 1916 წლის 9 იანვრის №1 ბრძაებით-ელაგინის კუნძულების ''ელაგინოსტროვის'' სასახლის სათადარიგო მეურნეობის მიღება-გადაბარების კომისიის თავმჯდომარედ.

1916 წლის 13 თებერვალს №7 ბრძანებით, თავადი რატიევი დაინიშნა იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც უნდა გამოერკვია პეტროგრადის სასახლეების სამმართველოში შემავალი შენობების აუცილებელი სარემონტო სამუშაობები. საპასუხისმგებლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის 1916 წლის 25 მაისს იგი დაჯილდოვდა წმინდა ანას მეორე ხარისხისორდენით, იმავე წლის 6 სექტემბერს კი მიენიჭაპოლკოვნიკის წოდება.

ივანე რატიშვილი დიდ დახმარებას უწევდა საქართველოდან პეტერბურგში ჩასულ სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდებს. მაგალითად, მან მატერიალური დახმარება გაუწია გაბრიელ რატიშვილს დამოაწყო პეტერბურგის სამხეგრო სამედიცინო აკადემიაში. ეხმარებოდა აგრეთვე იოსებ ბეჟანის ძე რატიშვილს და მისი დაქვრივებული დის ოჯახს.

1917 წლის 19 აპრილს №8 ბრძანებით, ზამთრის სასახლის პოლიცმაისტერი თავად რატიევი დაინიშნა პეტროგრადის სასახლეების სამმართველოს უფროსის, გენერალ-მაიორ კომაროვის თანაშემწედ. ამავე წლის 12 ცექტემბრის №29 ბრძანებით ერმიტაჯიდან, სასახლეებიდან და სამინისტროების დიდი სასახლიდან განძეულობის ევაკუაციისათვის გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარედ. მიუხედავად იმისა, რომ პეტროგრადის ერმიტაჟიდან განძეულობა იმპერიალისტური ომის გამო ევაკუირებული იყო მოსკოვში, ზამთრის სასახლეში მაინც ხელოვნების საკმაოდ ბევრი შედევრი დარჩა.

ივანე რატიშვილმა ორჯერ მიიღო აქტიური მონაწილეობა ზამთრის სასახლისა დაერმიტაჟის განძეულობათა გადარჩენაში.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია პეტერბურგის მუშათასაყოველთაო გაფიცვა დაიწყო. მეფის მთავრობამ, რომელიც ცდილობდა ძალით ჩაეხშო მოახლოებული რევოლუცია, თებერვლის დამდეგს პეტროგრადი განსაკუთრებულ სამხედრო ოლქად გამოჰყო. ოლქის სარდლად მონარქისტი გენერალი ხაბალოვი დანიშნა და რევოიუციური მოძრაობის წინააღმდეგ ცაბრძოლველად შეუზღუდველი უფლება მისცა. გენერალმა ხაბალოვმა ზამთრის

სასახლისა და ერმიტაჟის ტერიტორიაზე ფეხოსანი ჯარი და არტილერიის ნაწილები განალაგა. მთელი სასახლე და სასახლის მოედანი საბრძოიო ციხე-სიმაგრედ იქცა. ადვილი წარმოსადგენია პოლკოვნიკის მდგომარეობა. ერთ მხრივ, როგორც ოფიცერი, უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდა და ხელი შეეწყო ხაბალოვისათვის, მეორე მხრივ, მისთვის ნათელი იყო, რომ შეიარაღებული ნაწილების განლაგება აუცილებლად გამოიწვევდა ზამთრის სასახლისათვის ქვემეხების დაშენას, რის შედეგადაც განადგურდებოდახელოვნების ფასდაუდებელი ქმნილებანი. ივანე რატიშვილი გენერლებს ხაბალოვს, ბელიაევს, და ბალკის უმტკიცებდა სამხედრო თვალსაზრისით ამ გეგმის უაზრობას, მაგრამ უშედეგოდ. მამაცი ოფიცერი სიცოცხლის ფასად წინ აღუდგა გაშმაგებულ ხაბალოვს და ცდილობდა სამხედრო ნაწილების სასახლიდან გაყვანას.

ივანე რატიშვილი ტელეფონითდაუკავშირდა იმპერატორ ნიკოლოზის ძმას მიხეილს, რომელმაც გენერლებს უბრძანა თავიანთ რაზმებთან ერთად გასცლოდნენ იქაურობას. თუმცა ბრძანების შეცრულება ცაჭირო აღარ გახდა; მეორე დღეს, დილით მეფის "ერთგული" სამხედრო ნაწილები დაიშალნენ და მარტო დატივეს ხაბალოვი და მისი გენერლები.

თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამგაიმარგვა. ივანე რატიშვილისგამბედაობისა და თავდადების შედეგად კი ზამთრის სასახლის ძვირფასი განძი განადგურებას გადარჩა.

ამ დღეებშიპეტროდრადის ქუჩებში ასობით ადამიანი მოკლეს და დაჭრეს. მუშებმა გადაწყვიტეს პატივით დაეკრძალათ დაღუპულები. მ. გორკის ინიციატივით მოეწყო თათბირი დაღუპულთა დასაფლავების ადგილის შესარჩევად. ბევრმა აზრი გამოთქვა მათი ცაცახლის მოედანზე დაკრძალვის თაობაზე. ივანე რატიშვილმა, რომელიც თათბირს ესწრებოდა, ეს წინადადება არასწორად მიიჩნია, რადგან იმ ადგილზე განლაგებული იყო ბევრი მიწისქვეშა კომუნიკაცია. მან წინადადება შეიტანა მუშების დაკრძალვის ადგილად აერჩიად მარსის მინდორი, სადაც ეწყობოდა დედაქალაქის განრიზონის ჯარების პარადე. გორკიმ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

23 მარტს მოეწყო რევოლუციის მსხვერპლთა დაკრძალვა მარსის მინდორზე. პეტროგრადის პროლეტარიატმა მათ საფლავზე საბრძოლო დროშები დახარა. პეტრე- პავლეს სიმაგრიდან 180-ჯერ გაისმა გამოსათხოვარი სალუტი 180 დაღუპული გმირი-რევოლუციონერის პატივსაცემად. დიდ პატრიოტიზმსადა და საზრიანობას მოითხოვდა ივანე რატიშვილისაგან ისტორიული 1917 წლის 25 ოქტომბრის ღამით შექმნილი ვითარება. დროებითი მთავრიბა ზამთრის სასახლეში მოკალათთდა და ციხე-სიმაგრედ გადააქცია იგი. ფართო დერეფნებს, მარმარილოს კიბეებსა და ვრცელ დარბაზებს დროებითი მთავრობის ჯარის ნაწილები იცავდნენ. სასახლის წინ მოედანზე აღართეს ხის მორების ციმაგრეები, იქვე განალაგეს ტყვიამფრქვეები.

მსოფლიო მნიშვნელობის საგანძური კვლავ საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

რევოლუციურ ჯარებს ბრძანება მიეცათ მომზადებულიყვნენ ზამთრის სასახლეზე იერიშისათვის. ყოველი მხრიდან მიისწრაფოდნენ წითელგვარდიელთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა რაზმები. ვ.ი. ლენინის მითითებით ნევაში შემოვიდა კრეისერი ''ავრორა'', რომლის მძლავრი ქვემეხები ზამთრის სასახლისაკენ იყო მიმართული.

ასეთ რთულ ვითარებაში ზამთრის სასახლის სამმართველოს ყველა პასუხისმგებელი თანამდებობის პირი საზღვარგარეთ გაიქცა, ან რუსეთის პროვინციულ ქალაქშებში მიიმალა. ასეთივე რჩევა მისცეს ივანე რატიშვილსაც, მაგრამ მან კატეგორიულად უარჰყო წინადადება- მიეტოვებინა სასახლე, გაქცეულიყო დათავი დაენებებინა მინდობილი საქმისათვის- ბედის ანაბარად მიეტოვებინა უდიდესი ფასეულობანი, რომელთა დაცვა საჭირო იყო შთამომავლობისათვის, ხალხისათვის.

''დროებითი მთავრობის უკანასკნელი ციტადელი,-იგონებდა შემდეგ ივანე რატიშვილი,- ზამთრის სასახლე იყო. დროებითი მთავრობა ზამთრის სახლეს რომ შეეფარა,-უმაგალითო ავანტიურა აყო. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ საფრთხეშიაგდებდნენ სასახლესა და ერმიტაჟს, სადაც მსოფლიოში განთქმული განძეულობის უმდიდრესი კოლექციები ინახებოდა, არამედ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ სამთრის სასახლის მთელი რიგი დარბასების ფანჯრები გადიოდა სასახლის მოედანზე, სადაც მოთავსებულიიყო სამხედრო ჰოსპიტალი. იქ იყო პირველი მსოფლიო ომის დროს დაჭრილი ათასზე მეტი გარისკაცი იწვა. რევოლუციური ჯარების ხელმძღვანელებმა დიდი ჰუმანურობა გამოიჩინეს- ორჯერ გაუგზავნეს პარლამენტიორები დროებითმთავრობას და წინადადება მისცეს ზედმეტი სისხლის ღვრის თავიდან აცილებისა და ერმიტაჟის გადასარჩენად, უბრძოლველად ჩაებარებინათ ზამთრის სასახლე. სამართლიანი და დასაბუთებული მოთხოვნის მიუხედავად, დროებითი მთავრობა არა თუ დათანხმდა წინადადებას, უფრო მეტიც, მათ დააპატიმრეს მეორედ გაგზავნილი პარლამენტიორები.''

ახლოვდებოდა იერიშის დრო, საჭირო იყო სასაწრაფო ზომების მიღება.

ვიდრე ზამთრის სასახლის იერიშის ხელმძღვანელები ვ. ა. ანტონოვ-ოვსენკო, ნ.ი. პოდვოისკი, ვ. ი. ნევსკი, გ,ი,. ჩუდნოვსკი და სჩვები, ვ,ი, ლენინის მითითების თანახმად, სასახლის უვნებლად აღებაზე ბჭობდნენ, ივანე რატიშვილი სასახლეში მოქმედებდა. მან დაიხმარა რამდენიმე ჯარისკაცი, თავისი შვილი-ვაჟთა კორპუსის კურსანტი დიმიტრი და დაჭრილების საწოლები შიდნითა უფანჯრო ოთახებში გადაიტანა, სადაც ტყვია არ შეაღწევდა. ამ კეთილშობილურ საქმეში ივანე რატიშვილს მხარში ამოუდგნენ ექიმები, მოწყალების დედები და სანიტრები.

დაჭრილები ვაი-ვაგლახით გადადიოდნენ ახალ ადგილზე, ვისაც არ შეეძლო, საკაცით გადაჰყავდათ.

სასახლეზე იერიშის წინ და იერიშის დროს ივანე რატიშვილი ცეცხლქვეშ განაგრძობდა ფასეულობათა დაცვას. დარბაზებიდან აძევებდა და აპატიმრებდა ქურდობაში შემჩნეულ იუნკერებს, რომელნიც ჯიბეებს ივსებდნენ ოქროსა და ვერცხლის ნივთებით.

მან თავისი ერთგული ხელქვეითების დახმარებით ოქროს, ფაიფურისა და სპილოს ძვლის ნაკეთობანი სასახლის უფრო საიმედო ადგილებში- სარდაფის საცავებსა დასეიფებში დააბინავა. საგანძურში ძვირფასი განძის მხოლოდ ნაწილი მოთავსდა, დანარჩენი სარდაფის კარებთან მოათავსა და გაძლიერებული დაცვა დაუნიშნა.

ივანე რატიშვილმა უძვირფასესი განძეულის-მონომახის განთქმული ქუდის, მეფე მიხეილ რომანოვის 185 კარატიანი ბრილიანტით მოჭედილი სამეფო კვერთხის, ბრილიანტის დიდი ჯვრითშემკული გვირგვინისა და სხვადასხვა საუკუნის იარაღის კოლექციის დასაცავად, ორი საიმედო გრენადერის გარდა, გუშაგად დააყენა თავისი ვაჟიშვილი დიმიტრი და უბრძანა დაუკითხავად საცავში არავინ შეეშვათ.

25 ოქტომბერს, საღამოსათვის, მთელი ქალაქი აჯანყებულთა ხელში იყო. მხოლოდ ზამთრის სასახლე რჩებოდა დროებით მთავრობას. მისი ვრცელი დარბაზები ბურჟუაზიისათვის თავდადებულ ოფიცერთა რაზმებსა და იუნკერებს ეკავათ. სასახლის წინ, მოედანზე, სიმაგრეები აღმართეს, მადრამ დროებითი მთავრობის ხსნა უკვე აღარაფერს შეეძლო. ზამთრის სასახლისაკენ ყოველი მხრიდან მოისწრაფოდნენ წითელგვარდიელთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა ახალი და ახალი რაზმები

როცა იერიშზე გადასული შეიარაღებული პროლიტარიატისა და რევოლუციური ჯარების რაზმები ზამთრის სასახლეში შეიჭრნენ, ივანე რატიშვილმა კავშირი დაამყარა სასახლის შტურმის ხელმძღვანელთან ვ.ა. ანტონოვ-ოვსენკოსადა გ.ი. ჩუდნოვსკისთან და მათი ენერგიული დახმარებით მალე განძეულობათა დაცვის საქმე სრულ წესრიგში მოიყვანა-წითელგვარდიელთა მიერ ზამთრის სასახლისა და ერმიტაჟის დაკავებისთანავე, მოიერიშე რაზმელებს, მიტმასნილ ნაძირალებს სახალხო ქონების დატაცების საშუალება არ მისცა.

ივანე რატიშვილის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ მისი ენერგიული მოქმედებით სიცოცხლე შეინარჩუნა ომში დაჭრილმა ათასზე მეტმა მეომარმა.

თანამედროვეთა გადმოცემით, ზამთრის სასახლის ძვირფასი განძეულობათა გადამრჩენ ივანე რატიშვილს სასახლის შტურმის მონაწილე წითელგვარდიელი ჯარისკაცები და მეზღვაურები ''ამხანაგ თავადს'' ეძახდნენ. ივანე რატიშვილი შემდეგ წლებში სიამოვნებით იგონებდა, რომ ასევე მიმართავდა მას რევოლუციის დიდი ბელადი ვ.ი ლენინი.

ზამთრის სასახლის აღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ სასახლის კომისრად დაინიშნა შტურმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გ. ი. ჩუდნოვსკი, ხოლო მეზღვაური პრიხოდკო მაშინვე შეუდგა სასახლის გაწმენდას, საგუშაგოების დაყენებას და საერთოდ წესრიგის დამყარებას. ასე, რომ სასახლის მტკიცე დაცვა საიმედო ხელში გადავიდა.

სასახ ლის კომისრად შემდეგ გრენადერთა თადარიგის პოლკის შტაბს – კაპიტანი ი.ლ. დზევიანტოვსკი დაინიშნა, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში სამხედრო სამეულის წევრი იყო და ხელმძღვანელობდა პეტროგრადის დაცვისა და კერენსკი-კრასნოვის ბანდების განადგურების წინააღმდეგ ბრძოლას.

1917 წლის 3 ნოემბერს ზამთრის სასახლის კომისარმა ვ. იგნატოვმა ი. რატიშვილს გაუგზავნა ბარათი;

''ღრმად პატივცემულო თავადო ივანე დიმიტრის ძევ! უმორჩილესად გთხოვთ, მობრძანდეთ დღეს კომენდანტის კანცელარიაში მოსალაპარაკებლად, სასახლის დაცვის ფრიად მნიშვნელოვან და გადაუდებელ საკითხებზე''.

მაშინ, როცა ივანე რატიშვილი რევოლუციისათვის თავდადებულთა შთამომავლობისათვის ხელოვნების შედევრების გადასარჩენად იღვწოდა, ამ დროს მისი ბინა გაქურდეს.

სსრ კავშირის ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდებში დაცული დოკუმენტების მიხედვით, ზამთრის სასახლის შტურმის დროს ივანე რატიშვილის ბინა, როგორც ამას სამთრის სასახლის ოთახების ქონებათა მეთვალყურის მოხსენებითი ბარათი ადასტურებს, სასახლის სხვა თანამშრომელთა ბინებთან ერთად, მოჰყვა ''გაძარცვასა და განადგურებაში''.

რსფსრ განათლების პირველი სახალხო კომისარი ა.ვ. ლუნაჩარსკი გაეცნო ივანე რატიშვილის დიდ დამსახურებას ზამთრის სასახლის ისტორიულ ნაგებობათა და ფასდაუდებელ განძეულობათა გადარჩენაში. 1917 წლის 5 ნოემბერს (ძველი სტილით) ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა დაპეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანას გაზეთ ''იზვესტიას'' №217-ში, რუბრიკით ''მთავრობის მოქმედება'' მან გამოაქვეყნა ბრძანება ზამთრის სასახლისადმი. მასში ნათქვამი იყო;

2. გულწრფელ მადლობას ვუცხადებ სასახლის სამმართველოს უფროსის თანაშემწეს თავად ივ. რატიევს 1917 წლის 25-26 ოქტომბრის ღამით ზამთრის სასახლის სახალხო განძის თავდადებული დაცვისა და შენარჩუნებისათვის...

4. ზამთრის სასახლის შინაგან დაცვას ვაკისრებ სასახლის სამმართველოს უფროსის თანაშემწეს ი. დ. რატიევს. ამასთან, ვანიჭებ მას, როგორც ფასეულობათა ხელშეუხებლობაზე პასუხისმგებელ პირს, ზამთრის სასახლისა და პეტროგრადის რაიონის ყველა სახელმწიფო სასახლის, მუზეუმისა დაისტორიული ძეგლის დაცვის მთავარი კომენდანტის რწმუნებას.…

5. ვავალებ ზამთრის სასახლის მთავარ კომენდანტს თავად ი.დ. რატიევს-სამხედრო ნაწილებით მოახდინოს ზამთრის სასახლის გარედან დაცვა, რისთვისაც ურთიერთობა დაამყაროს ვისთანაც ჯერ არს.

6. ვავალებ მასვე აღადგინოს და მოაყესრიგოს სასახლის სამეურნეო-ადმინისტრაციული ნაწილი, აგრეთვე უხელმძღვანელოს მას.

შენიშვნა; სასახლის ყველა მოსამსახურე, სასახლეში მყოფი სამხედრო თანამდებობის პირი და სამხედრო ნაწილები ემორჩილებოდნენ ზამთრისსასახლის მთავარ კომენდანტს''.

ამ ბრძანებით, ივანე რატიშვილის უფლებები უფრო გაიზარდა. მაშასადამე, მას უნდა მოეწყო დაცვა, დაემყარებინა წესრიგი და მოეგვარებინა ფასეულობათა მოვლა- პატრონობა არამარტო ზამთრის სასახლესა ერმიტაჟში, არამედ აგრეთვე ცარსკოე სელოში, პეტერჰოფში, გატჩინოში, პავლოვსკში, საჯარო-ბიბლიოტეკასა და სხვა მნიშვნელოვან ადგილებში.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა დაპეტერბურგის საბჭოს უწყებებში 6 ნოემბერს გამოქვეყნებულ ბრძანებაში მადლებასთან ერთად ივანე რატიშვილს კიდევ ერთხელ ევალებოდა განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინა ზამთრის სასახლის განძეულობათა დაცვის საკითხებისადმი.

ა.ვ.ლუნაჩარსკის ბრძანებიდან ცხადი ხდება, რომ სასახლეში მუშაობას შეუდგნენ სამხატვრო- ისტორიული კომისიები, რომლებიც აწარმოებდნენ სასახლის ქონების აღწერას და შემოწმებას, მათ უნდა შეედგინათ აგრეთვე არსებულ ფასეულობათა მხატვრულ-ისტორიულ ღირეულობათა კატალოგი.

ამ ბრძანებებში უძვირფასესი მხატვრული განძეულობის ღრმა ცოდნასთან ერთად ჩანს ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ დიდი ზრუნვა რევოლუციური მონაპოვრის დაცვისა და საერთო სახალხო საკუთრებად გადაქცევის საქმეში. აღნიშნული კომისიები სპეციალისტებთან ერთად ადგენდნენ კატალოგებს და აწარმოებდნენ ფასეულობის აღრიცხვასა დაკონტროლს.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ზამთრის სასახლეს ეწვია ვ.ი. ლენინი. იგი პირადად გაეცნო ივანე რატიშვილს, მადლობა გადაუხადა ხალხის უძვირფასესი საუნჯის დაცვისა და გადარჩენისათვის და დაადასტურა მისი დანიშვნა პეტროგრადის რაიონის ყველა სახელმწიფო სასახლის, მუზეუმისა და ისტორიული ძეგლის მთავარ კომენდანტად. იქვე გაიმართა სახელდახელო მიტინგი სადაც ვ.ი. ლენინმა დამსწრეთ მიულოცა რევოლუციის გამარჯვება და კიდევ ერთხელ აღნიშნა ივანე რატიშვილის დიდი დამსახურება სახალხო-ისტორიულ განძეულობათა გადარჩენასა და დაცვის საქმეში, რომელიც ამიერიდან უკვე ხალხის საკუთრებას წარმოადგენდა.

ეს ისტორიული ამბავი მოკლედ აქვს აღწერილი დიდი ოქტომბრის სოციალისტურირევოლუციის პირველ მემატიანეს ამერიკელ მწერალ-კომუნისტს ჯონ რიდს წიგნში ''ათი დღე, რომლებმაც შეძრეს მსოფლიო.'' ვ.ი.ლენინმა დაწერა წიგნის წინასიტყვაობა, რომელშიც დიდი შეფასება მისცა ნაშრომს და ყველას ურჩევდა წაეკითხა იგი.

ჯონ რიდი აღწერს ზამთრის სასახლის იერიშისა და მისი ხელში ჩაგდების სურათს, თუ როგორ გაიტაცა ადამიანთა აბობოქრებულმა ტალღამ თავად რიდი, ჟურნალისტი ვილიამსი და მათი 3 თანამგზავრი. შემდეგ იგი აღწერს საუნჯეთა ძარცვის ამბებს დამძარცველების წინააღმდეგ წითელგვარდიელთა ბრძოლას. ავტორი აღნიშნავს, რომ მისი ჯგუფიც მძარცველებად მიიჩნიეს, მაგრამ ისინი ივანე რატიშვილმა გადაარჩინა.

ორი დღის შემდეგ ვ.ი.ლენინი კვლავ ეწვია სასახლეს. რატიშვილს დაევალა, რაც შეიძლება მალე წაეშალათ შენობის ნგრევის კვალი. მან არქიტექტორები გამოიძახა და გადასცა მათ ვ.ი.ლენინის განკარგულება. მალე ყველაფერი აღადგინეს.

''ვლადიმერ ილიას ძის სასახლეშიმეორედ მოსვლისას,-იგონებდა ივანე რატიშვილი,_თან ვახლდი და ვუჩვენებდი შენობის შინაგან დაზიანებას, რომელიც სასწრაფო შეკეთებას მოითხოვდა. ვ.ი.ლენინმა ჩემთან ერთად დაათვალიერა ზამთრის სასახლე და ერმიტაჟი, მძიმე პირობების მიუხედავად, დიდხანს ჩერდებოდა კოცებუს, ვერეშჩაგინისა დასხვათა ბატალურ ნახატებთან. მასზე განსაკუთრებული შტაბეჭდილება მოახდინა ტილომ, რომელზეც ასახული იყო ზარბაზნის გადატანა ბრძოლის დროს ხევზე.

1812 წლის გალერეაში ილიჩმა ყურადღება მიაქცია კუტუზოვის, ბაგრატიონისა და სხვათა პორტრეტებს, რომლებიც ხიშტებით იყო დაზიანებული და ამის გამო სინანული გამოთქვა.

შემდეგ ვლადიმერ ილიას ძემ სმოლნში, სასახლეების ყოფილი სამმართველოს საქმეებთან დაკავშირებით, ზოგიერთი საკითხის გასარკვევად მიმიწვია. კერძოდ, საქმე ეხებოდა ქალაქის საგარეუბნო სასახლეების- პავლოვსკის, გატჩინოს, პეტერჰოფისა და ცარსკოე სელოს დაცვას.

საუბარი გაიმართა ვ.ი. ლენინის კაბინეტში. შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ამ უძვირფასესი ძეგლების დაცვა, ვუპასუხე, რომ ჯერ-ჯერობით მდგომარეობა ნორმალურია, რადგან 26 ოქტომბრიდან სასახლის დაცვა საიმედო ადამიანთა ხელშია. განკარგულება გავეცი იქ გაეგზავნათ სასახლის გრენადერთა რაზმი, რომელიც მეზღვაურთა და წითელარმიელებით გავაძლიერე. მათ მკაცრი ბრძანება მიიღეს უნებართვოდ შიგ არავინ შეეშვათ''.

სკკპ წევრი 1917 წლიდან მ. ა. დემენტიევი იგონებს, რომ წითელგვარდიელთა რაზმი, რომელიც 25 ოქტომბერს სმოლნიდან ერმიტაჟის დასაცავად გაიგზავნა, 10 კაცისაგან შედგებოდა. მათ შორის იყო ნოვო_ადმირალტეისტვოს ქარხნის ახალგაზრდა მუშა ბორის დემენტიევი, მეზღვაურებს შორის პროსკურატოვი და ერმოვი.

ზამთრის სასახლის ქონების მეთვალყურის ნ. ნ. დემენტიევის ცნობით სასახლის ისტორიულ_მხატვრული კომისიის წევრებმა ვ. ა. ვერესჩაგინის (თავმჯდომარე), ნ.გ, პისტროვსკის, ვ.ა. ნადეჟდინის შემადგენლობით კომენდანტ პროსკოვსკისთან და კომისრებთან_გ.ს. იატმანოვსა და ვ.დ. მანდელბაუმთან, აგრეთვე საგანგებოდ მაწვეულ ა.ნ. ბენუასთან ერთად, 1917 წლის 28 დეკემბერს შეამოწმეს დოლგორუკისა და რატიევის ბინები, რომლებშიც გაძარცვული და განადგურებული იყო ყველაფერი, რაც კი მატერიალურ ფასეულობას შეადგენდა.

ვ.ი. ლენინი დიდად აფასებდა ივანე რატიშვილის მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას, მის ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. არაერთხელ მიანდო მას სხვადასხვა მნიშვნელოვანი დავალების შესრულება, მათგან ყველაზე საპასუხისმგებლო იყო ის, რომ 1919 წლის მარტში, როცა საბჭოთა მთავრობა პეტროგრადიდან მასკოვში გადავიდა, ივანე რატიშვილს, იაკობ ივანეს ძე სმირნოვთან ერთად, დაევალა სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგისა და დიდი რაოდენობის სხვა ფასეულობის მოსკოვში გადატანის ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება.

ივანე რატისვილმა დიდი მუშაობა ჩაატარა ამ საპასუხისმგებლო დავალების შესასრულებლად. იგი დაინიშნა ეშელონის უფროსად და საუცხოოდ მოაწყო მისი დატვირთვისა და დაცვის ორგანიზაცია. ორთქმავლის ტენდერზე გუშაგი დააყენა, საიდუმლოებისა და უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით, ეშელონი დაიტვირთა მოსკოვის სადგურის ჭიშკრებს იქით რკინიგზის პლატფორმა "ცვეტოჩნაია პლოჩშადკაზე".

ესელონის ირგვლივ ყველა მისასვლელი დაცული იყო, საშვის გარეშე არ დაიშვებოდა არც ერთი პირი. შემადგენლობათა მარშრუტი, გასვლის დრო, უაღრესად გასაიდუმლოებული იყო. ეშელონის დასაცავად ვ.ი. ლენინის წინადადებით გამოიყო ლატვიელი მსროლელების ერთი ნაწილი, რომელიც ადრე სმოლნს იცავდა. ცაიმედო მემანქანის გარდა, ორთქმავლები აღიჭურვა ორ_ორი სათადარიგო მემანქანით.

ივანე რატიშვილმა მუქარის წერილები მიიღო ფოსტით, რომლებშიც თეთრგვარდიელები მაითხოვდნენ ეშელონის ჩაბარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თავდასხმით ემუქრებოდნენ. ქ. ტვერში (ახლანდელი კალინინი) მართლაც მოეწყო კონტრრევოლუციური ბანდების თავდასხმა. გულადმა და გამჭრიახმა ივანე რატიშვილმა მემანქანეს ეშელონის სვლა შეანელებინა, რითაც თავმდამსხმელთა ყურადღება შეასუსტა, შემდეგ კი ჩქარი სვლით ცეცხლქვეშ გაიყვანა შემადგენლობა. მან ღირსეულად შეასრულა ვ.ი. ლენინის დავალება, მთელი ოქროს მარაგი და ფასეულობანი უკლებლივ ჩაიტანეს მოსკოვში და მოათავსეს კრემლის პალატებში.

1918 წლის 16 იანვარს სახალხო კომისართა საბჭომ შექმნა რსფსრ სასახლეების სახალხო კომისარიატი და მის კომისრად დაინიშნა ვ.ა. კარელინა, რომელმაც ამ პოსტზე მხოლოდ ორი თვე იმუშავა, 1918 წლის 18 მარტს ის გაანთავისუფლეს, რადგან მემარცხენე კომუნისტებს მიემხრო. სახალხო კომისრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დაინიშნა პავლე პეტრეს ძე მალინოვსკი. მან ენერგიული მუშაობა გაშალა რესპუბლიკის ქონების, სასახლეების ფასეულობის ძეგლების აღრიცხვის, დაცვისა და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად.

სხვადასხვა დროს სამხატვრო_ისტორიულ კომისიებში მუშაობდნენ: პ.გ. სმიდოვიჩი, პროფესორები: ვ.მ. ფრიჩე და ტრუტოვსკი, ხელოვნებათმცოდნე ი.დ. რატიშვილი, მხატვარი ე.ვ. ორანოვსკი, არქიტექტორი ნ. დ. ვინოგრადოვი და სხვები. ისტორიული ძეგლებისა და ფასეულობათა აღდგენისა და დაცვის საქმეს დიდ დახმარებას უწევდა ვ. ი. ლენინის თანამებრძოლი, პუბლიცისტი მ.ს.ოლმინსკი.

1918 წლის 17 მაისს ვ.ი. ლენინმა სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველ ვ.დ. ბონჩ_ბრუევიჩთან, კრემლის კომენდანტ პ. დ. მალკოვსა და რესპუბლიკის სახალხო ქონების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრ ი.ა.ვაიმანთან ერთად შემოიარა დადაათვალიერა კრემლის ყველა შენობა, გაარკვია კრემლის სასახლეების გათბობის მდგომარეობა, ძვირფასი ისტორიული რელიქვიების_სურათებისა და ფრესკების შენახვასა და დაცვის საქმე. მითითებები მისცა დაეჩქარებინათ კრემლის მნიშვნელოვანი ისტორიული შენობების რეკონსტრუქცია.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ მოკლე ხანში საერთო_სახალხო კუთვნილებად აქცია უდიდესი მხატვრული განძეულობა. ვ.ი. ლენინის ინიციატივით განხორციელდა უძვირფასესი მხატვრული კოლექციების (უწინარეს ყოვლისა ტრეტიაკოვის გალერეის) ნაციონალიზაციისა და ხელოვნებისა და სიძველეთა ძეგლების დაცვის ღონისძიებანი. მაიე, მოსკოვში მთავრობის გადმოსვლის შემდეგ, ვ.ი. ლენინის მითითებით დაიწყო კრემლის უმნიშვნელოვანესი ისტორიული შენობების რესტავრაცია. ბლადიმერ ილიას ძემ დასახა "მონუმენტური პროპაგანდის" გეგმა_ მხატვრულად გაეფორმებინათ ქალაქები, პირველ რიგში მოსკოვი და პეტროგრადი, ისეთი ძეგლებით, ბარელიეფებითა და მემორიალური დაფებით, რომლებიც პროპაგანდას გაუწევდნენ სოციალიზმის იდეებს, დიდებით შემოსავდნენ მშრომელთა მასების გმირულ_განმათავისუფლებელ ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ, აღბეჭდავდნენ კულტურის დიდ მოღვაწეთა სახელებს.

ზამთრის სასახლე 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ_შედიოდა ჯერ რსფსრ მხატვრულ _ისტორიულ ქონებათა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, შემდგომ კი განათლების სახალხო კონისარიატის მხატვრულ_ისტორიულ ქონებათა განყოფილებაში.

1918 წლის 8 მარტის №4 ბრძანებით, პეტროგრადის სასახლეების უფროსისა და მისი თანაშემწის თანამდებობა გაუქმდა და ზამთრის სასახლე გადაეცა ერმიტაჟს_ მსოფლიოში პირველი მუშურ _ გლეხური სახელმწიფოს პირველ მუზეუმს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ერმიტაჟის პირველი დირექტორი იყო ლ. ობელინსკი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ნიკო მინგრელსკის (დადიანის) ქალიშვილი.

ვ.ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა კლასიკურ მხატვრულ მემკვიდრეობას და განათლების სახალხო კომისარს ა. ლუნაჩარსკის დაავალა შეექმნათ სპეციალური კოლეგია, რომელიც დაიცავდა სიძველეთა ნიმუშებს. ა.ლუნაჩარსკის გადმოცემით, 1918 წელს ვ.ი. ლენინი მოითხოვდა პირველ რიგში დაეცვათ მუზეუმები, სადაც მოთავსებული იყო უდიდესი ღირებულების ნიმუშები.

1919 წლის მარტში რკპ (ბ) VIII ყრილობაზე მიღებული მეორე პროგრამის განყოფილებაში "სახალხო განათლების დარგი" მე_10 პუნქტად ჩაწერილია»« «აუცილებელია გაიხსნას და მშრომელთათვის ხელმისაწვდომი გახდეს ხელოვნების ყველა საუნჯე, რომელიც შექმნილია მათი შრომის ექსპლუატაციის საფუძველზე და რომელიც აქამდე ექსპლუატატორთა განსაკუთრებულ განკარგულებაში იმყოფებოდა.»

ერმიტაჟი ამჟამად ერთ_ერთი უდიდესი მუზეუმია მსოფლიოში. აქ დაცულია შავი ზღვის სანაპიროს უძველესი ქალაქების ოქრომჭედლური ნაწარმის უძველესი ქალაქების ოქრომჭედლური ნაწარმის მრავალი ექსპონატი და ე.წ. სასანიდური ვერცხლეულის მსოფლიოში უმდიდრესი კოლექცია; შუა აზიის, ინდოეთის, ირანის ხელოვნების, რაფაელის, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, ტიციანის, ველასკელის, მურილიოს შედევრები; ჰოლანდიელი, ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი და რუსი მხატვრების შესანიშნავი ქმნილებები. ერმიტაჟში თავმოყრილია 40 ათასამდე მხატვრული ტილო, ნახევარ მილიონამდე გრავიურა და მხატვრულ ნაკეთობათა მილიონამდე გრავიურა და მხატვრულ ნაკეთობათა მილიონამდე ნიმუში.

ერმიტაჟის იშვიათი ნიმუშების დათვალიერებისას უნებლიედ გაგახსენდება ივანე რატიშვილის ნათელი სახე, რომელმაც ორგზის მიიღო მონაწილეობა ზამთრის სასახლისა და ერმიტაჟის იშვიათი ქმნილებების გადარჩენაში. მან გააგრძელა თავდადების, მეგობრობისა და ერთგულების ტრადიციები, რომელმაც უკვე მრავალი ათეული წლის წინათ მჭიდროდ დააკავშირა საქართველოსა და რუსეთის ინტელიგენცია, და დაამოყვრა რუსული და ქართული კულტურა.

ივანე რატიშვილი ოქტომბრის რეველუციას უკვე შუახნის ასაკში შეხვდა. მისი შემდგომი ცხოვრება მძიმედ წარიმართა. დაკარგა მეუღლე და ვაჟიშვილი დიმიტრი, რომელიც მოსკოვში მდინარეში ბანაობის დროს დაიხრჩო. დიდმა მწუხარებამ შეარყია მისი ჯანმრთელობა და ხანგრძლივი დროით სარეცელს მიაჯაჭვა.

ივანე რატიშვილი 1920 წლიდან 1930 წლამდე მუშაობდა მთარგმნელად მოსკოვის სხვადასხვა ორგანიზაციებში, ხოლო 1931 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და თავისი ქალიშვილის ოლღას ოჯახთან ერთად ჩაიკოვსკის, ხოლო შემდეგ პავლოვის ქუჩაზე ცხოვრობდა. მას საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის პერსონალური პენსია დაენიშნა.

ივანე რატიშვილი ავადმყოფობის დროსაც ინარჩუნებდა მისთვის ჩვეულ სიმხნევეს, ადამიანებისადმი გულწრფელ კეტილმოსურნეობას. მის ბინაში ხშირად დადიოდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც იგი მოუთხრობდა ზამთრის სასახლის აღების, დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და დიდ ბელად ვ.ი. ლენინთან შეხვედრებზე.

ივანე რატიშვილის ხშირი სტუმარი იყო სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ალექსანდრე თოიძე, მხატვარი და ლიტერატორი მიხეილ გადბოლსკი, ისტორიკოსები, მუსეუმისა და არქივებში მომუშავე მუშაკები.

ბევრ თბილისელს ახლაც კარგად ახსოვს წარმოსადეგი, დარბაისელი, ჭარმაგი კაცი, რომელსაც ყოველთვის დიდი ინტერესითუსმენდნენ. იგი განსაკუთრებით მუზეუმებისა და არქივების სასურველი სტუმარი იყო.

სსრკ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ცენტრალური რევოლუციის ცენტრალური მუზეუმის ლენინგრადის ფილიალის ექსპოზიციაში წარმოდგენილია ივანე რატიშვილის მიერ გადმოცემული, დროისაგან გაყვითლებული ძველი გაზეთები, ფოტოდოკუმენტები და პორტფელი, რომელსაც იგი ატარებდა პეტროგრადში სასახლეების მთავარ კომენდანტად მუშაობის დროს, აგრეთვე მისი ზოგიერთი პირადი ნივთი.

გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში დაცულია ივანე რატიშვილის მიერ ჩაბარებული მრავალი რელიქვია. სახელდობრ: მ.ლერმონტოვის, ალ. ჭავჭავაძის პირადი ნივთები, საოჯახო ალბომები_ა.პუშკინის, მ. ლერმონტოვისა დასხვათა ლექსების ადრინდელი ხელნაწერები და სხვა. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტისა დაოქტომბრის რევოლუციისა და სოციალური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში სათუთად ინახება ივანე რატიშვილის მოგონებები ზამთრის სასახლის აღებაზე, ოქტომბრის რევოლუციისა და დიდ ბელად ვ.ი. ლენინთან შეხვედრებზე.

ღრმადმოხუცებული ივანე რატიშვილი 90 წლის ასაკში, 1958 წელს გარდაიცვალა.

დიდია ივანე რატიშვილის დამსახურება ხალხის წინაშე. იგი მიეკუთვნება ძველი არმიის იმ სახელოვან მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციისთანავე უყოყმანოდ მიემხრნენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას და ბოლომდე უანგაროდ ემსახურებოდნენ საყვარელ სამშობლოს.